შემოსავლების სამსახური

ბრძანება № 120.51

„23“ 12 2011 წელი თბილისი

**ხილის კონცენტრატებიდან ნატურალური წვენის ჩამოსხმის საწარმოო დანაკარგის დამტკიცების შესახებ**

„ბუნებრივი დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების შემმუშავებელი სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 აპრილის №845 განკარგულების მე-3 პუნქტის, „საჯარო სამართალის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის „ფ“ ქვეპუნქტისა და მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. ხილის კონცენტრატებიდან ნატურალური წვენის წარმოებისას („Tetrapak“ და „Elopak“ დანადგარების/ჩამოსხმის ხაზების გამოყენებით) ერთ ჩამოსხმაზე საწარმოო დანაკარგი განისაზღვროს 300 ლიტრის ოდენობით.
2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ჯამბულ ებანოიძე სამსახურის უფროსი